

5-22.138
1908

საქართველოს
საზოგადოებრივი
მუზეუმი

საბჭოთაო № 19

საქართველო
საზოგადოებრივი
მუზეუმი

1908

მცირე

წარმართების.

მასშტაბი



შინაარსი

I—შემოდგომა.—(ჯექსი) ი. ევდოშვილისა	3
II—მშვიდობით.—ი. ევდოშვილისა	4
III—პატარა მეზრეს წერილები.—წერილი მუთრე.—ვ. თამ- რაშვილისა	
IV—გულკეთილი ლერ.—ა. შიქიბერძისა	11
V—ილზიანი ცერცვი.—ფოტანინგიუდი ზღაპარი, დ. ს.—სა	15
VI—რა გვიანბო დედა?—(თარგმანი) თავი XXI. ლილები, (დასასრული) ან. ამილახვრისა	20
VII—ანდრეები და გამოცანები:—ა) არითმეტიკული ამო- ცანა, —ბ) გამოცანა, —დ) რებუსი.	24

დავარეუბნები

შეფასება მე-IV.

№ 19

№ 36086260 1908 7



893.7.2

შინაარსი

I — შემდგომი. — (ლექსი) ი. კვდშუაღისა	3
II — მშვიდობით. — ი. კვდშუაღისა	4
III — პატარა მესხრეს წერილები. — წყნაღი მკორე. — გ. თაშ- რდშუაღისა	8
IV — გულკეთილი ლეო. — ა. შიქაბერძისა	11
V — ილბლიანი ცერცვი. — ღოტარინგაუღი ზდაზაზი, დ. ს — ს	15
VI — რა გვიამბო დედამ. — (თარგმანი) თავი XXI. ღილგები, (დასასრული) ან. აშილახვრისა	20
VII — ანდაზები და გამოცანები: — ბ) არითმეტიკული ამო- ცანა, — გ) გამოცანა, — დ) რებუსი.	24



შეშოღომა




ენასში მიაქეთ კალათა,
ეურმენს ჰკრეფენ, დადგა რთველი,
დასაწურად მოამსადეს
მარანა და საწნახელი!

ხეს ფოთოლი უევეითლდება,
აღარ ისმის ბუღბულის სმა,
მზე შერთალია, ვეღარ გვათბობს,
მოგვივიდა შემოდგომა!

ი. ევდოშვილი





მშვიდობი!



მშვიდობით, ჩემო ბუდე, — ჟრიკ-ჟრიკებდა მერცხალი სახლის ჭერის კუთხეში მიერულ ბუდის თავზე. მშვიდობით! უნდა მიგატოვო ამ სამთარს, მივდივარ ჩემი შვილებით თბილს ქვეყნებში. მივდივარ, მაგრამ გული აქა მრჩება; მე იქ ვიქნები, მაგრამ ჩემი გრძნობა, ჩემი სიყვარული

იქაც მხოლოდ შენს ალერსში იქნება. ან კი როგორ უნდა დაგივიწყო? აგაშენე ტანჯვით, წვალებით. მთელ თვეს არ მომისვენია. ირანაჟებდა და მივსრიალებდი მინდორ-ველებიანაჟენ. მომქონდა ტალახი, მომქონდა ბალახი, ვასველებდი მათ ჩემის ნერწყვით და ნელ-ნელა ამეყანდა შენი მაგარი კედლები. როგორც იყო მოგათავე და შენს კედლებ შორის გამოვზარდე ჩემი საყვარელი ბარტყები.

ჟრიკ! ჟრიკ! ჟრიკ! მშვიდობით, თქვენც, სამშობლოს ძალო მთებო, სურმუსტის კაბა რომ ჩაგიცვამთ და თავზე კი

თოვლის ჯიღა გავიკეთებიათ. მშვიდობით, ველო, ჩემო გამ-
ზრდელო, მშვიდობით, წუაროვ, ჩემო გამგრილებელო; მე აქ
დავიბადე, აქ გამზარდა დედამ და თუმცა ეხლა თავს განებებთ,
თუმცა მივდივარ შორის ქვეყნისკენ, მაგრამ ეს მხოლოდ დრო-
ებით, მე ისევ მოვალ ჩემს საუვარელს სამშობლოში. მშვი-
დობით, მშვიდობით, ჩემო საუვარელო, ნამატადარო ბუდევ,
მშვიდობით ჩემო აღმზრდელო ქვეყანავ!

ასე ეთხოვებოდა მერცხალი თავის ბუდეს, თავის სამშობ-
ლოს და ვანო-კი ამ დროს მის ქვეშ აბგაში წიგნებს აწეობ-
და განქარებული.

— ჟრიკ! ჟრიკ! ჟრიკ! შენ სითლა მიეშურები, ჩემო მე-
გობარო? ჩამოსძახა მერცხალმა.

— სასწავლებლისკენ! სასწავლებლისკენ! მიუგო ვანომ
და აბგაზე მიუთითა.

— კარგია, ძალიან კარგია! დაუდასტურა ჟრიკჟრიკით
მერცხალმა.

— მეც ინდოეთისკენ უნდა გავსწიო. დღეს ერილობა
გვექონდა აქაურ მერცხლებს და ევალამ ერთხად გადავსწვი-
ტეთ წასვლა. მხოლოდ ჯერ-ჯერობით ბელადის არჩევანში
ვართ!

— რა გინდათ ინდოეთში? გაოცებული შეეკითხა ვანო.

— სამთარი დგება აქ, ჩემო მეგობარო, სამთარი, იქ კი
ესლა თბილა.

— სამუდამოდ თავს გვანებებ? უსაუვედურა ვანომ.

— არა, სრულებითაც არა, გაზაფხულზე ისევ დავბრუნ-
დები, როგორ დავივიწყებ ჩემს სამშობლოს, მე სომ აქაური
ვარ, აქ დავიბადე, აქ გავიზარდე: ჟრიკ! ჟრიკ! ჟრიკ! ჩაიჟრიკ-
ჟრიკა მერცხალმა, რამდენჯერმე, სიუვარულით აღგზნებული
თვალეები დააბტურა ბუდეს, მერე შეიფრთხილა, რამდენჯერმე
შეიოუარა სრიალით სახლის ჭერს და ზევით აინავარდა. იქ

ცის კიდურზე ათასამდე მერცხალი შეკრეფილიყო: ხან გაი-
ფანტებოდნენ აჭერში, ხან შეჯგუფდებოდნენ; რაღაც მოუსვენ-
რობა ეტეებოდათ; რაღაცაზე ცხარედ ეკამათებოდნენ ერთმან-
ეთს. ჟრიკ! ჟრიკ! ჟრიკ! ისმოდა საშინელი ხმაურობა ჭაერში.



როტბურ.

უცებ ვეელანი დახუდნენ, ეროდ შეჯგუფდნენ, დაწენარ-
დნენ. როგორც სჩანდა, მორიგდნენ სადავო საგანზე, ამოირ-

ჩიეს თვის შორის ბეჭადი. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ისე-
ნი კვლავ ახმაურდნენ, გუნდი გაშალეს და სრიალით დას-
ტრიალებდნენ, სოფელს თავზე. მშვიდობით! მშვიდობით, ჩვე-
ნო საუკარელო სოფელო, ჩვენო გამწოდელო სამშობლო!
ჭიკჭიკებდა ძთელი გუნდი ერთად.


— ეტლი მზად არის. დაიძახა ეზოდან ვანოს მამამ.


— მშვიდობით, გენაცვალოს დედა! გადაეხვია ვანოს დე-
და და რამდენჯერმე გადაჭკოცნა.

— მშვიდობით! უნახუხა ვანომ და დაუკოცნა დედას გულ-
მკერდი.

მშვიდობით! მშვიდობით! ქრიკქრიკებდა მადლა, ჰაერში
მერცხლის გუნდით.


ი. ევდოშვილი





პატარა მესხის წერილები

წერილი მეორე



აღაქელებო! ამ მეორე წერილსა გწერთ
იმ იმედით, რა ზიჯელს მიიღებდით და
ჩემ ამავეს შაიტობდით. დღესა ვხნავდით;
საქონელი დილას ადრე „ხნურთლის“ თავში
მივრუკვე, როგორც დაბარებული მქონდა.

ჩვენ გუთნი-დედა სოლომანს ისეთი ფარდულა გაეკეთებინა სახ-
ნავის თავში, რა თქვენი მოწონებული; თითონაც იმის ქვეშ
ველი მოუღერებინა და დიღინით გუთნის სოლსა სთლიდა.
იმის ჯალბაბ თეონას ღობიო ბლომად გამოეკზავნა და თეთ-
რი ქაშანურის ჯამები შამოდგომურ ბატებივით გამწვრივებუ-
ლიყვნენ ფარდულის ძირზე. მაღე დღისი-მესრე მიტრო ჩა-
მოვიდა და საქონელი იმას ჩავაბარე. ჩვენ ჩვეულება ისე გვაქვს,



მე ღამით ვდარაჯობ საქონელსა და ამიტომ ღამის მესრეს მემახიან და ის კი დღისით და თან გუთანსედაც ისა ზის მესრედ.

— შენ, ჩემო ილიკო, ესლა არსეინად დაიბინე ემაგ ბე-ბერ რცხილის ქვეშ. საღამოზედ შენს საქონელს უკანვე ჩა-გაბარებთ, — მითხრა ჩვენმა სოლომანმა. მეც რაღა მქონდა სათქმე-ლი, როდესაც ძილისთვის თვალები მეღუფლებოდა მანამ ვფხიზ-ლობდი უეინივით მხარ-თემოზე ვიყავ წამოწოლილი და მერე კი დაძმინებოდა. როცა გამომეღვიძა, სამხრობის დრო გადა-სულიყო, ჩვენებს კარგად ემუშავნათ. ჩემი გიშერა ხარი ისე მიაბიჯებდა, თითქო გუთანში არც კი ბმულიყოს.

— ეჰ, მძინარავ, მოდი ე შენ ირმას გაუჯავრდი, თო-რემ მკლავები მეტყინა ამის ცემით, — გამომძახა რისიანად მი-ტრომ.


მართლაც ირმა ძალიან ზანტია უღელში; სამოვარზედ კი მთელი ღამე არ მასვენებს; დანარჩენი საქონელი რომ თა-ვისთვის ბალახსა სძოვს, ის ჯეჯილში მიიპარება და სშირად ოინს შამამთხვევს სოლმე. შარძან რომ თედო მეველემ კარ-გად გაძბერტვა და მერე ფარაჯა წაშართვა, სულ ირმას ბრა-ლი იყო, სხვა არავისი. მეუფექ ირმას უღელზედ და ჩემი სახრის ტაცუნნი და ოროველა კარგა მანძილზე გაისმოდა. გუთანს თან ფავ-გაჭკაჭკების სროვა დასდევდა და მათ ჩხავილს ეურთა-სმენა ჰქონდა წადებული; იაოგნიდნენ თუარა ჭიაეუ-ლას, ასტესდნენ ერთ აურ-ხაურს და, კეტები რომ ჰქონოდათ, ერთმანეთს თავპირს დაამტვრეუდნენ. ჩემა სახრემ ირმას ფე-ხის აჩქარება აკადრებინა, ღვთის წყალობა გაქვთ ის ბარა-ქიანად სწევდა უღელს! მზის ჩასვლისას გუთანი ავუშვიო. მე ჩემ საქონელს მივატანე; გიშერა ხარი ხელებ მილოკავდა, ირმა კი გამწურალივით განსედ გამდგარიყო და ხარ-ხაქისა რწოლავდა. გავიდე მხარზე კობალა, მოვიგდე ზურგზე მჭა-

დით გუდა და ჩემი საქონლით ძაღუ ალაზნი ჰირას ვიუჯ.
და აი ესლა, დიდ თელი ქვეშ შეფარებული სალამურს ვა-
რაკრაკებ, საქონელი ბაღასსა მოვს და, ბეზარ-კი ჭაობის
ჰირას ბაუაუებს ეეფით უმასპინძლდება.

დანარჩენ ჩემ აძბავს მერე მოგწერთ. თქვენი მძა მესრე
ილიკო.

ვ. თამროშვილი





გულკეთილი ლეო



ქვენ უთუოთ გეცოდინებათ, ზა-
წიებო, ვინ იყო იმპერატორი
ნაპოლეონი? ისეთი კაცი იყო,
რომელიც მარტო თავის თავზედ
ზრუნავდა.

იმპერატორს შესანიშნავ კაცად
სთვლიდნენ და ამიტომ მხატვრები
მრავლად ავრცელებდნენ ხალხში ამ
კვირგვინოსანის სურათებს. ნაპოლე-
ონს აზრად ჰქონდა მთელი ქვეყნიერება დაეპურო და სულ იმას
ცდილობდა, რომ სიმდიდრე შეეძინა და დიდებული კაცის სა-
ხელიც მოესვენა. მაგრამ, განა ესეთი კაცი კაცად ჩაითვლე-
ბა! განა კაცი მხოლოდ თავის თავზედ უნდა ზრუნავდეს!

ჩვენს სახლშიაც იყო ნაპოლეონის სურათი. ეს სურა-
თი სწორედ აქ. ამ კედელზედ ეკიდა. დედა ჩემი სმირად მიგ-
ვითითებდა ხელს ამ სურათზედ და გვეტოვდა: „აი, ეს არის
იმ კაცის სურათი, რომლის წყალობით ჩემი მამა ომში გაიწ-
ვიეს და მისვლისთანავე ტყვეით სასიკვდილოდ გაგმირეს.

მამა ჩემს ერთი დიდი და მასთან მეტად ღამაში ძაღლი
ჰყავდა. აი, სედავთ, ეს არის ნამდვილი სურათი ჩვენი გულ-

კეთილი ლეოსი. დიად, ლამაზი რამ ცხოველი იყო ჩვენი ლეო. მშვენიერი, კეთილი თვალები ერთი ორად უმძვენებდნენ ისედაც კაშაიდ მოხდენილს თავს. თუმცა ზირუტევი იყო, მაგრამ მისი კეთილი თვალები ენა მერვეელ კაცსედ უფრო მჭერმეტყველობდნენ.

ლეო ეეფის მეტს ვერას ასერსებდა, მაგრამ მისი თვალები კი ამავე დროს აშკარად გეუხებოდნენ: „შენ ეგრე ნუ მიუურებ! ჩემიანც სჩქეფს კეთილშობილური სისხლი! შეგიძლია სულითა და გულით მომენდო, სამსახურსა და მეკობრობას არ მოგაკლებ!“

ლეოს განსაკუთრებით ბავშვები უყვარდა და მრავალ შეურაცხოვას ითმენდა მათგან. ბავშვები სშირად აჯავრებდნენ ჩვენს ლეოს, მაგრამ გულკეთილი ცხოველი მხოლოდ ალერსიანად იღრინებოდა და თავის საყვარელ მეგობრებს არასოდეს არა ჭებენდა.

ჩემი ძმობლები იმ დროს ცხოვრობდნენ ამ ჰატარა სახლში მდინარე ალსტერის ნაპირას. ჩვენ, ჰაწია ბავშვები, ბაღში ვთამაშობოდით. მდინარის ნაპირად გასვლის ნება არა გვქონდა.

სულ სხვა ნაირად ერთობოდნენ ჩვენი მეზობლის ბავშვები. ბავშვებს დიდი ხანია, რაც დედა მოუკვდათ. მამა ეოველ დღე სამუშაოდ დადიოდა. ეველასედ უმფროსი ქალი სადილს ამზადებდა, რეცხავდა, სახლს ალაგებდა, ისე რომ ბავშვების უფროს საგდებლად ნაკლებად ეცალა.

ეველასედ უმცროსი ბავშვი ალბერტი, რომელიც სუთი წლისა იყო, მეტად თავგასული და დაუკნრომელი რამ იყო.

ერთხელ ალბერტი გაეპარა თავის დას მდინარის ნაპირას. ალბერტს უნდოდა ჰატარა ქალაღდის ნავი წეაღში შეეცურებინა. ბავშვი წელის ნაპირას ჩამოჯდა და ქალაღდის ნავი ნაპირიდან შორს წეაღში შეაცურვა. უეცრივ ალბერტს თავბრუ დაესხა და წეაღში ჩავარდა.

მდინარის ნაპირას ადამიანის ჭაჭანება არ ისმოდა. ჩქარი წელის ზვირთი ბავშვს ხან წებალში ძალავდა, ხან ზემოდ ამოაცურვებდა. საბრალო ევირილს ვერ ახერხებდა, რადგან პირი წელით ჰქონდა სავსე. ერთი წამიც—და სიცოცხლეს გამოესალმებოდა!

სწორედ ამ დროს დედა ჩემი იჯდა ფანჯარასთან. ეგონა, წებალში ვიღაც დაცურავსო, მაგრამ, ბოლოს ნათლად შეაშინია წელიდან ამოშვებული ბავშვის ხელი. დედა შიშის ზარმა აიტანა და დაუოხრებელივ საკერავს ხელი შეუშვა.

როგორ გგონიათ, რა მოხდა შემდეგ? სამინელი ეგოვით მიემურებოდა ჩვენი ლეო მდინარესაკენ. ლეომ საჩქაროდ გადაირბინა ბაღი, ელვის სისწრაფით მდინარის ნაპირას გაჩნდა, თავდავიწყებით გადაეშვა წებალში და გაუაფიცვით ბავშვის ძებნას შეუდგა წელის სიღრმეში.

უცნოვ წელიდან გამოჩნდა ბავშვის სუჭუჭ თმინი თავი. ლეოს მაგრად ჩაეკიდნა თავისი თეთრი კბილები ბავშვის ტანთსაცმელისთვის და ნაპირისაკენ მიემურებოდა. ძაღლმა ბავშვი წელის ნაპირას გამოიყვანა და ამხიარად გადააწრინა იგი სიკვდილს.

აბა, რას იტყვით ესეთი ძაღლის შესახებ? ჰატარა ალბერტი ცოტა ხნის შემდეგ გონს მოვიდა. დედა ჩემმა იგი სახლში წაიყვანა. დაუოხრებელივ ექიმს დავუძახეთ. საღამო ხანს ალბერტის ძამაც დაბრუნდა სახლში.

ძამის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა გაიგო თავისი ჰატარა შვილის სიკვდილისაგან გადარჩენის ამბავი.

„რით ან როგორ უნდა დავასახუქროთ ეს გულკეთილი ცხოველი! განა მესამლეგლია რაიმე საჩუქრით დავუპტიცო ამ ბავშვების კეთილ მეგობარს ჩემი გულწრფელი და უღრმესი ძაღლობა! არა, ეს ეოვლად მოუხერხებელია! ის ეჯობინება, რომ ლეოს სურათი გადავიღო და მით დაუვიწყარ ვყო ამ კაცთამეგობრისა და კაცთამსხნელის სამარადისო ხსოვნა“


ნა. ლეო რომ არ ეოფილიყო, ჩუმი ალბერტი ახლა ძველად იქნებოდა. ჭეშმარიტად, ამ გულგვითილ ძაღლს კაცზედ არა ნაკლები გონება და აზრი ჰქონია“!


ცოტა ხნის შემდეგ დედამ საჩუქრად მიიღო ლეოს მძვე-
ნივრად დასატული სურათი.

„ხედავთ“! გვითხრა დედამ: „აი, ამ ძველ სურათს კედ-
ლიდან ჩამოვიღებ და მის მაგივრად ლეოს სურათს ჩამოვკი-
დებ. ნაპალეონს თავის სიცოცხლეში, რამდენიმე ათასი კაცის
სული უმსხვერპლნია. ამ საბრძოლო ძაღლმა ზირიქით ერთი
ბავშვი ძაინც გადაარჩინა სიკვდილს. ჰატივი უნდა სცე მსო-
ლოდ მას, ვინც ჰატივის ცემის ღირსია“!

აი, ესეთი ამ სურათის მოკლე ამბავი. აბა, კარგად და-
ავიწოდით, ჰაწიებო, ამ სურათს! ამ ქვეყნად არა იშვიათია
ისეთი ძაღლები, რომლებსაც განაც ჩვენ, ადამიანებმა, უნდა
ავადოთ სიბრალულისა და თავგანწირულების მაგალითი. ამ
სამაგალითო ძაღლებში ჩვენს გულ-გვითილ ლეოსაც თვალ-
საჩინო ადგილი უჭირავს და კიდევაც ამიტომ იყო, რომ ჰა-
ტარა ალბერტის ძაძა მის სახელის სსოვნას ესეთი ჰატივის-
ცემით მოეწყო.

ა. მიქაბერიძე





ილზიანი ცეცხვი

(ლოტარინგიული ზღაპარი)



ამ მხას მამა მოუკვდათ. და გაურბ განიძრახეს.

— მე წისქვილს ავიღებ,— სთქვა უფროსმა ჟანმა.

— მე ავიღებ სახლს ბაღით,— სთქვა მეორე მამა კოლინმა.

— მე,— სთქვა კოლინემ, უძცროსმა,— რო-
მელსაც სულელად სთვლიდნენ, მე რასაც მომცემთ,
იმითი დაჟკმაუოფილდები.

— რა მოგცემთ? — სთქვა უფროსმა: — ლოგი-
ნი, საათი, მაგიდა? ეს ჟენტვის სულ მეტია, რადგან სახლი
არა გაქვს. ჩვენ ისეთ რასზე მოგცემთ, რომ სუბუქი იუოს და
ტარება შეგეძლოს.

— ძალიან კარგი, — დაჟკმაუოფილდა კოლინე.

აიღეს და რამდენიმე დაუჩურჩავე ცერცვი კი მისცეს.

— შენ ეს არ დაგამძიმებს, — უთხრა ჟანმა, — ასლი სა-
შენოა.

კოლინე ეოველთვის ძმების მოწილი იყო.

გამოართვა ცერცვი, მადლობა უთხრა და წავიდა სახლი-
დან.

მთელი დღე იარა და სადამოხანს მოისურვა დასვენება.
შევიდა ერთ სახლში და სთხოვა, — ამაღამ ბინა მომეცითო.

--- ნება მიბოძეთ ამაღამ თქვენსა დავრზე ჩემი ცერცვით!

— თუ გინდა, ცერცვი აქ დატოვე, შენთვის-კი ადგილი არა გვაქ; უზასუსა სახლის-პატრონმა.

— მაშ კარგი, აქ იეოს ჩემი ცერცვი, — სთქვა კოლინემ, — მე კი სხვაგან წავალ.

სახლის-პატრონმა გამოართვა ცერცვი, თახჩაზე დაუარა, მაგრამ მიბრუნდა თუ არა, აფრინდა თახჩაზედ ქათამი და მთლად აკენკა. დილით მოვიდა კოლინე და მაშინვე ცერცვი იკითხა:

— სახლის-პატრონო, ჩემი ცერცვი სად არის? უნდა წავიღო.

— აჰ ცერცვი! შენი ცერცვი ქათამმა აკენკა.

— მაშ ცერცვის მაგიერ ქათამი მომეცი. თუ არა და წავალ და თქვენზე საჩივარს შევიტან სასამართლოში.

— მეზე შენი ცერცვი ქათამდა ღირს?

— მომეცით ქათამი, თორემ წავალ და გირივლებთ.

სახლის-პატრონს არად ესიამოვნა, მაგრამ რა ექნა? აიღო და ქათამი მისცა.

— წაიუვანე, — დაცინვით უთხრა სახლის-პატრონმა, — იქნება მაგითი გამდიდრდე.

კოლინემ გამოართვა ქათამი, მადლობა უთხრა და წავიდა.

მთელი დღე ისევ სიარულს მოუწია, საღამოზე ერთ უყულის ქარხანას მიადგა.

— მე და ჩემ ქათამს ღამით ბინა მოგვეცით! — სთხოვა პატრონსა:

— თუ გინდა ქათამი აქ დატოვე, შენთვის კი ბინა არა გვაქვს, — უზასუსა პატრონმა.

— მაშ ქათამი შეძინახეთ, — უთხრა კოლინემ, — მე სხვა-
გან წავალ.

დედაცაცმა ქათამი საღორეში შეაგდო, და იქ ღამე ღორმა
გაჭელიტა. მოვიდა მეორე დღეს კოლინე.

— სახლის-პატრონო, მომეცი ჩემი ქათამი!

— შენი ქათამი ღორმა გაჭელიტა! — უპასუხა დედაცა-
მა, — რაცა ღირს დაფასე და ფულს მოგცემ.

— არა, სახლის-პატრონო! ქათმის მაგივრად ღორი მო-
მეცით. და თუ არ მომცემთ, წავალ და მსაჯულს თქვენსე სა-
ჩივარს მივართმევ.

— ოჰ, შე სულელო! ღორი ქათმის მაგივრად!

— მომეცით ღორი, თორემ მივდივარ საჩივლედა!

„მთლად მხეცი ეოფილა“ ვიღაც არის, — იუიქრა დედა-
ცაცმა. — ვის უნახავს, ქათამში ღორის თხოვნა?

კოლინე კი იდგა და ყრთსა და იმავეს იმეორებდა: გაე-
ცინა დედაცაცს, დაუძახა თავის ქძარს. იმათი ლაპარაკი გაი-
გონეს ბავშვებმა, ხელოვნებმა, მოგროვდა სალხი და სუვეე-
ლანი სიცილით უეურებდნენ კოლინეს, რომელიც თავ მო-
წონებული იმეორებდა:

— მომეცით ღორი, თორემ წავალ და ს.ჩივარს შევიტან.

— წაიუვანე ღორი! — უთხრა პატრონმა. — შენ ძალიან
გაგუამსიარულე, და დეე ამ ღორმა მაინც გაგამდიდროს.

მაღლობა უთხრა კოლინემ, აიკიდა მსარსე ღორი და წა-
ვიდა. მთელი დღე ისევ სიარულს მოუწდა, და საღამოს მია-
დგა ერთ მდიდარ სახლს.

— კეთილო მასწინებლო, — დაუკაკუნა კოლინემ, — ბინა
მოგვეცით მე და ჩემს ღორსა, ამაღამ თქვენსა. ღორი მიიღეს
და კოლინესთვის კი ბინა არ გამოჩნდა. კოლინე ამისთანა

ზახუხის გაგონებას შესუეულიყო, მიაბარა ღორი და თითონ სხვაგან წავიდა.

სახლის-ბატონს ქალი ჰყვანდა, რომელსაც ძალიან უყვარდა ღორები; იმან ღორს ეელზე თოკა მიაბა და წაიყვანა წეალზედ წელის დასაღევათ. დაქანებულ წელის-პირზე ღორს ფეხი გაუსწლტა. ჩაგორდა წეალში და დაიხრჩო. მეორე დღეს კოლინე მოვიდა თავის ღორის წასაყვანად. სახლის ბატონმა არ იცოდა, რა ექნა.

— ნუ ჯავრობ ჩვენზე, ჩემო კარგო! ჩემმა ქალმა, შენი ღორი წეალზე, ჩაიყვანა, იქ წელის-პირიდან წეალში ჩაგორდა და დაიხრჩო!

— ბატონო, მაშ თქვენი ქალი მომეცით ჩემი ღორის მაგივრად, თუ არა და წავალ მსაჯულს თქვენზე საჩივარს მივართმევ!

— შენ მგონი, გაგიჟდი! დაუევირა სახლის-ბატონმა. — ქალი მოგცე შენ ღორში?

— მომეცით თქვენი ქალი, — თორემ წავალ და საჩივარს შევიტან.

ჩამოჯდა კოლინე ტახტზე და გადაწვიტა არ წასულიყო, მანამ თხოვნას არ აუხსრულებდნენ.

იმ დროს მოვიდა ბატონი და, რომ დაინახა კოლინე, თავის ცოლს ჰკითხა:

— რა უნდა ამ ემაწვილ კაცს!

ცოლმა სულ ეველაფერი, უამბო როგორც რა მომხდარიყო.

— ეგ ცუდი საქმეა! — იფიქრა ბატონმა. — ძალიან მშიშარა კაცი იყო. და ეველაზე მეტად სასამართლოსი ემსოდა. მანამ ამ ფიქრში იყო, ქალიც მივიდა მამასთან.

— როგორ მოგწონს ეს ემაწვილი კაცი? — ჰკითხა მამამ.

ქალმა თავი ჩაღუნა, მაგრამ ეტეობოდა, რომ კოლინე მოსწონებოდა.


— მაშ აი რა! — უთხრა მამამ. — სხანს შენი ბედა ესა ეოჟილა. ეგეც რომ არ იეოს, ცუდი ქორწილი სჯობია კაი სახივარს. წაიყანე ჩემი ქალი, ემაწვილო! — უთხრა იმან კოლინეს.

რამდენიმე წლის შემდეგ კოლინემ ბატონის ქალი შეირთო და ცხოვრობდა თავისთვის ბედნიერად: ცერცვიც გამოუღეველი ჰქონდა, ქათამიც და ღორიც.

დ. ს.



მ. ვი




რა გვინახო დედა

(თარგმანი)

XXI თავი

ღ ი ლ ე ბ ი



ღეს მკონი ეველანი საქმეში სარტ გარ-
თული!

— დიას, დედა, საქმე გვაქვს: გა-
დიამ გეტოვებ გადაუურნოთ დილე-
ბი, დახე რამდენია. ნორმანი არჩევს
შავებს, მე თეთრებს ადა დანარჩენებს,

— დედა, დინასე რა ლამაზი წითელი დილებია, აგერ ეს
ლურჯი რა მშვენიერია.

— დიას, შვილო, კარგებია. მანამ თქვენ გადარჩევთ მე
ცოტა რასმე გაიმბობთ.

— დედა, გენაცვალე, გვიამბე!... — წამოიძახეს ემაწვი-
ლებმა.

არის საში უმთავრესი გვარი დილებისა: ჯერ კუნწიანი,
რომლითაც სამოსს მიეკერება, მეორე ნახვრეტისანი, და ბო-
ლოს კიდევ გადაკრული ტილოთი, ანუ ფარით. აბა ამ გვა-
რი დილები მიზოვნეთ.

— აი ის დილი, რომელსაც გადია ღამის ჰერანგებს
გვიკერებს სოღმე, მკონი ეს მესამე გვარისას ეკუთვნის, —
სთქვა პატარა ემი.

— დიას, ხეშო გოგონა, — ეკ ტალოს დილია. აგერ ნორმანსა აქვს შავი ფარჩით გადაკრული დილი, როგორც ძამას უკერია სერთუკზე, ეს მეორე გვარისაა. მე ვხედავ თეთრ დილს ოთხი ნახვრეტით აგერ ორ ნახვრეტინიც. აი ხელთათმანის ზაწია დილსაც აქვს ნახვრეტები — აბა, ნორმან, მიპოვნე ზირა ველი გვარის დილი?

აი, ამ ფესნაცმელის დილს კუნწი აქვს, არა დედა? აგერ კიდევ ბჭეწიანა დილი, ოქროს ფერ კუნწით.

— მე ვხედავ, რომ მიხვდით და გაბრწყინდით დილებს. ასე უნდა გვიამბოთ, რისგან აკეთებენ დილებს. ამ სამასი წლის წინად მდიდრებს ძალიან უყვარდათ ძვირფასი დილების დაკერება ტანისამოსზე, ოქროსა, ვერცხლისა და სხ. ოქრომჭედლები, რომელნიც აკეთებდნენ დილებს, ძალიან მდიდრდებოდნენ. ესეა იმ გვარდილებს ძვირად დაატარებენ. ოქრო ვერცხლის მაგივრად ესეა სმარობენ სხვა და სხვა ღირებულებას: რკინას, ფოლადს, კალას და სხ. მარგალიტის დილებსაც აღარ სმარობენ, მათ მაგიერ სადაფის. დილები შემოვიდა, რომელიც კეთდება სადაფის ღოკოვანის ქვედა ზირიდან: მრავალ სადაფის ღოკოვანას აგროვებენ სამხრეთ ამერიკაში და შორეულ სამხრეთ კუნძულებზე აკეთებენ დილებს ძელისას რქისას მინისას, ფაიფურისას და ერთი მცენარისას: სპილოს ძვალი ძალიან ძვირია და დილებიც ძვირად დაჯდება. სამხრეთ ამერიკაში არის იმ გვარი ბჰის ხე, რომელსაც ასწია კვერცხის ოდენი კაკლები. შიგ არის თეთრი რქისავით სითხე. თანდათან ეს სითხე მაგრდება და უდრის სიმბერით სპილოს ძვალს. ამას ღებენ და აკეთებენ სხვა და სხვა გვარ ფერად დილებს. მარტო ქალაქ ბირმინგჰამში. კვირაში აკეთებენ 20 ტონს, თითო ტონი უდრის 62 ფუტს. სომ იცით, რომ ცხენიც ძლივს ერევა 62 ფუტს ნახშირს.

— ოჲ დედა, ნუთუ მაგდენს აკეთებენ? — წამოიძახა ნორმანმა. მამ რაც ქვეყანაზე დილება, ბირმინგჰამში კეთდება?

— ძარბალია ბეკონს აკეთებენ იქაც, მაგრამ ინგლისში და სხვა ქვეყნებშიაც მრავალს აკეთებენ.

— სხვა მასალებიდანაც მაგდენს აკეთებენ?

რასაკვირველია, და, ერთ ქარხანაში დილების გაკეთებას წელიწადში ახმარებენ 34 ტონ რკინას და 63 ათას არშინ ტილოს. თქვენ სულ აგერევით აზრები რომ გაიმბოთ, რამდენი რა უნდება დილებს. მომაწოდეთ, ემი, ერთი თეთრი ტილოს დილი. გავტყუოთ და ვნახოთ რისგან არის იგი შემდგარი ჯერ ფოლბაქის რგოლია, რომელსაც გარშემო ღარი აქვს დაჟოლებული: მასუკან სამშირათ გადაკრულია ტილო; ზემოდან უფრო წმინდა ტილოა გადაკრული. ეს რგვალი ტილოს ნაჭრები მანქანით იჭრება ძალიან სწრაფად. მეორე მანქანით სდებენ ღარში რგვალ ტილოს ნაჭირებს, რომელიც მჭიდროდ იჭერს ტილოს და დილი მთლად იმოსება ტილოთი, მხელადაც იმჭვრება. დედაბაცები და ქალები აკერებენ დილებს სქელ ქაბალდზე. დილების უმრავლესობას სჭრიან რგვალი ხერხით, რომელიც აქვს გაკეთებული მანქანას, ნახვრეტებს კი ბურათი უკეთებენ. გუწიკებს ცალკე აკეთებენ და მით ბოლოებს მანქანით შეუდებენ სოლმე დილის ნახვრეტში ძირიდან. როცა ბირმინგემში ვიქნებით, მე ვთხოვ ბიძა ჯანს, წავვიყვანოს დილების ქარხანაში. ესლა მე ერთი სასიამოვნო რამ მინდა გითხრათ: რის სურვილი გაქვთ ესლა თქვენ მომეტებულიად!

— ალბად ძირს ჩასვლა შეგვიძლიან — წამოიძახეს ეველამ ერთად.

დიას ექიმმა ნება მომცა. ჰბერიც დათბა. ესლა მამასაც ნახავთ როხასაც და ჩვენ ჰაწიასაც. მამა იყო ბებიასთან და გამოუცხადა, რომ ესლა მათ შეუძლიანთ იქიდან წამოსვლა, გადაიაც კარგად გარეცხავს თქვენს ოთახს.

— დედა, მე ისე მიხარიათ, რომ მგონი ღამეც აღარ დამეძინოს — წამოიძახა ადამ.

— არა, ბაბა, მაშინ მე ვინანებ, როცა გითხარით ეს ამბავი. — დედა, — მიუგო ნორმანმა. — შენ ისეთი კეთილი იუზავი ხყენთვის, რომ წითელაჯ კი არ შეგვამხნევანე, რადგანაც ეგველ საღამოს გვართობდი რასმე. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის, რომლის ცოდნაც საჭიროა ჩემთვის. გეამბობთ სოლმე კიდევ შენ და როზა, როცა ძირის სათუღში ჩავაბლთ?


— არ ვ. ცი ჯერ. — მიუგო დედა — ჯერ მკონია ემჯობინება თქვენ თითონ უამბოთ როზას რაც შეესწავლეთ. ეს-ლა ღამე მშვიდობისათ! კარგად უნდა გამოიძინოთ, რომ სვალ ძირს ჩახვიდეთ და მამაც ნახოთ.

— ღამე მშვიდობისა საეგარელო დედა! გმადლობთ.

ანა ტასია ამილახვარი

(დასასრული)






ანდჯაბი და ბაჰოტანა

არითმეტიკული ამოცანა

(წარმოდგენილი თვით კანდიდატისაგან.)

ჩვენს განკარგულების ქვეშ არის
1, 2, 3, 4, და 5, რომლებიც
უნდა მოვათავსოთ ამ ცხრელში ისე,
რომ როგორც უოველი მსრიდან,
ისე კუთხიდან კუთხისკენაც გამო-
დიოდეს სუთმეც-სუთმეც.



ბ ა ზ ო ტ ა ნ ა

სამას სამოცდა ხეობა ჩიტმა ორმოცდა თორმეტმა კატკატმა
და თორმეტმა არწივმა ერთი კვერცხი დასდო.


რ ე ბ უ ს ი



ს



წ



ს

2' 100 მ ,  , 10